საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

2024 წელი

01.10.2025
www.geostat.ge

01.10.2025

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2024 წელი)

2024 წელს, წინა წელთან შედარებით, ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 11.6 პროცენტით გაიზარდა და 228.5 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2024 წელს მისი მოცულობა 90.5 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 2023 წლის მაჩვენებელზე 16.3 პროცენტით მეტია:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობა წლების მიხედვით



2024 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის 67.7 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდიოდა, 15.8 პროცენტი — საშუალოზე, ხოლო 16.5 პროცენტი კი — მცირე ბიზნესზე.

განსხვავებული განაწილება იყო პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდიოდა პროდუქციის გამოშვების 46.8 პროცენტი, საშუალოზე — 25.5 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე — 27.7 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2024 წელი



2024 წელს საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა — 114.9 მილიარდი ლარი (2023 წელთან შედარებით 5.4 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა 71.4 მილიარდი ლარი (2023 წელთან შედარებით 0.2 პროცენტით მეტი) შეადგინა.

2024 წელს ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 866.2 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 5.2 პროცენტით მეტია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 43.2 პროცენტი ქალი იყო, ხოლო 56.8 პროცენტი — მამაკაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 39.4 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდიოდა, 20.3 პროცენტი — საშუალოზე, ხოლო 40.3 პროცენტი — მცირე ბიზნესზე.

საანგარიშო პერიოდში, დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 801.6 ათასი კაცი შეადგინა (2023 წელთან შედარებით 3.9 პროცენტით მეტი), ხოლო საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე 19.9 მილიარდი ლარით განისაზღვრა (2023 წელთან შედარებით 15.3 პროცენტით მეტი).

2024 წელს, ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 2024.4 ლარს გაუტოლდა (2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 197.2 ლარით), ხოლო მათ შორის ქალების ხელფასმა 1 601.4 ლარი შეადგინა (2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 156.2 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი კი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 2 297.4 ლარი;
- საშუალო ზომის ბიზნესი – 2 443.8 ლარი;
- მცირე ბიზნესი – 1 437.5 ლარი.

2024 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი, 34.4 პროცენტი ვაჭრობის (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით) დარგზე მოდიოდა, მეორე ადგილზე იყო ხელოვნება, გართობა და დასვენება 33.5 პროცენტიანი წილით, შემდეგ კი — დამამუშავებელი მრეწველობა 7.9 პროცენტიანი წილით, მშენებლობა — 6.6 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება — 4.6 პროცენტიანი წილით, ხოლო 12.9 პროცენტი დანარჩენ დარგებზე განაწილდა:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა, 2024 წელი



2024 წელს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებდა დამამუშავებელი მრეწველობა (18.9 პროცენტი) და მშენებლობა (18.7 პროცენტი), შემდეგ მოდიოდა ვაჭრობა (18.5 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება (9.2 პროცენტი), ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში ჯამურად 34.7 პროცენტიანი წილი ეკავათ.

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა, 2024



2024 წელს დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ბიზნეს სექტორში ლიდერობდნენ ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები, შესაბამისად, 29.0, 11.3 და 9.3 პროცენტიანი წილებით. სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდოდა ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.6 პროცენტი), მშენებლობის (8.0 პროცენტი), აგრეთვე ინფორმაციისა და კომუნიკაციის (5.9 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების (5.3 პროცენტი) დარგის საწარმოებზეც:

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2024 წელი



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება სქესისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2024 წელს წინა წელთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვლილება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2023 წელი	2024 წელი	2024 წლის ზრდის ტემპი 2023 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**204 647.5**	**228 473.1**	**111.6**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	969.0	1 032.9	106.6
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	1 318.9	1 892.3	143.5
დამამუშავებელი მრეწველობა	15 933.7	18 159.4	114.0
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	5 384.3	5 779.7	107.3
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	437.8	530.8	121.2
მშენებლობა	12 077.0	15 136.1	125.3
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	77 760.5	78 524.0	101.0
ტრანსპორტი და დასაწყობება	9 425.3	10 459.3	111.0
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	2 896.9	3 442.0	118.8
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	1 107.4	1 390.1	125.5
საკვებით და სასმელებით მომსახურება	1 789.5	2 051.9	114.7
ინფორმაცია და კომუნიკაცია	5 267.6	6 794.1	129.0
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	2 100.6	2 322.1	110.5
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	2 266.1	2 645.5	116.7
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	1 701.6	1 949.7	114.6
განათლება	767.6	949.9	123.7
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1 716.2	1 912.0	111.4
ხელოვნება გართობა და დასვენება	64 350.1	76 620.6	119.1
სხვა სახის მომსახურება	274.1	322.7	117.7

01.10.2025

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვლილებას 2024 წელს წინა წელთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2023 წელი	2024 წელი	2024 წლის ზრდის ტემპი 2023 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**77 859.3**	**90 539.7**	**116.3**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	1 134.1	1 198.7	105.7
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	1 469.6	1 849.2	125.8
დამამუშავებელი მრეწველობა	15 214.0	17 138.9	112.7
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	2 875.6	2 897.1	100.7
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	559.4	688.3	123.0
მშენებლობა	13 499.7	16 970.9	125.7
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	15 309.9	16 765.5	109.5
ტრანსპორტი და დასაწყობება	7 090.7	8 287.7	116.9
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	2 929.1	3 517.9	120.1
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	1 135.9	1 403.7	123.6
საკვებით და სასმელებით მომსახურება	1 793.2	2 114.2	117.9
ინფორმაცია და კომუნიკაცია	5 215.7	6 900.8	132.3
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	2 071.0	2 332.2	112.6
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	2 115.0	2 469.5	116.8
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	1 228.2	1 514.1	123.3
განათლება	821.6	1 004.1	122.2
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	2 732.0	2 937.3	107.5
ხელოვნება გართობა და დასვენება	3 326.3	3 760.1	113.0
სხვა სახის მომსახურება	267.3	307.1	114.9

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვლილება 2024 წელს წინა წელთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE REV. 2	2023 წელი	2024 წელი	2024 წლის ზრდის ტემპი 2023 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**823 561**	**866 152**	**105.2**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	13 621	13 805	101.4
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	12 872	12 933	100.5
დამამუშავებელი მრეწველობა	96 123	97 565	101.5
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	16 550	16 986	102.6
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	15 464	16 253	105.1
მშენებლობა	68 195	69 719	102.2
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	235 834	251 447	106.6
ტრანსპორტი და დასაწყობება	69 352	74 670	107.7
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	41 748	46 181	110.6
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	17 340	19 783	114.1
საკვებით და სასმელებით მომსახურება	24 408	26 397	108.2
ინფორმაცია და კომუნიკაცია	47 228	51 018	108.0
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	20 764	21 856	105.3
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	27 573	29 581	107.3
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	23 151	24 068	104.0
განათლება	23 977	24 778	103.3
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	79 351	80 612	101.6
ხელოვნება გართობა და დასვენება	22 341	24 026	107.5
სხვა სახის მომსახურება	9 416	10 654	113.1

რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში 2024 წელს ლიდერობდა ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 78.6 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 5.7 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 3.9 პროცენტი
- იმერეთი – 3.4 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.1 პროცენტი.

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ასევე ქ. თბილისი ლიდერობდა და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 64.9 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 8.4 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 6.7 პროცენტი
- იმერეთი – 5.4 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.6 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას (მლნ. ლარი):



დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა 2024 წელს:

- ქ. თბილისი – 62.3 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 9.8 პროცენტი
- იმერეთი – 7.3 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 5.7 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.6 პროცენტი
- კახეთი – 3.1 პროცენტი
- შიდა ქართლი – 2.9 პროცენტი
- მცხეთა-მთიანეთი – 1.9 პროცენტი
- სამცხე-ჯავახეთი – 1.7 პროცენტი
- გურია – 1.2 პროცენტი
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 0.3

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:

● საქმიანობის სექტორები K O T U

● 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)

2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:

● ძირითადი საქმიანობის შესაბამისად

● ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“

2. შპს „საქართველოს ფოსტა“

3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

4. სს „სილქნეტი“

5. სს „საქართველოს რკინიგზა“

6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

7. სს „საქენერგორემონტი“

8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა. შ.

რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია** (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2) სექციების დასახელებები

A	„სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
I	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601) E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020) E-mail: mkavelashvili@geostat.ge